სახელმწიფო რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პარტიული კომიტეტის და გაერთიანებული პროფკომის მრავალტირაჟიანი გაზეთი

МНОГОТИРАЖНАЯ ГАЗЕТА КОЛЛЕГИИ, ПАРТИЙНОГО КОМИТЕТА И ОБЪЕДИНЕННОГО ПРОФКОМА МВД ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

Газета выходит с 1926 года.

№ 4 (2897). 30 იანვარი. ორშაბათი. 1984 წ. ფასი 2 კაპ.

**...САМУЮ БЕСПОЩАДНУЮ БОРЬБУ МЫ ДОЛЖНЫ ОБЪЯВИТЬ ВОРАМ, ГРАБИТЕЛЯМ, ХУЛИГАНАМ, ТУНЕЯДЦАМ, СПЕКУЛЯНТАМ, УГОНЩИКАМ АВТОМОБИЛЕЙ, ВСЕМ АНТИПОДАМ НАШЕГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА.**

(Из выступления кандидата в члены Политбюро ЦК КПСС, первого секретаря ЦК Компартии Грузии товарища Э. А. Шеварднадзе на XXXIX партийной конференции Тбилисской городской организации Компартии Грузии.)

## თბილისის XXXIX საქალაქო კონფერენციაზე

**დამნაშავეობაზე შეტევას ერთიანი ფრონტი — ახეთი მიმართულება მისცა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას ახლახან მოწყობილმა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციამ. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა — ითქვა კომუნისტთა ფორუმზე — სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად დავრაზმოთ მთელი საზოგადოებრიობა, გამოვიყენოთ აღმზრდელობითი, ადმინისტრაციული ზემოქმედების ყველა საშუალება და შესაძლებლობა, საბჭოთა კანონების მთელი ძალა, ამით პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით შევქმნათ დამნაშავეობაზე შეტევის ერთიანი ფრონტი.**

**კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობას და მისი გაუმჯობესებისათვის ზრუნვას.**

**გთავაზობთ ნაწყვეტს მოხსენებიდან.**

... მაღალ შეფასებას ვაძლევთ რა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგებს, უნდა ვთქვათ, რომ მან უზრუნველყო პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცება, შინა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა, რასაც საფუძვლად უდევს პარტიის საპროგრამო დებულება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლების შესახებ.

...რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მთლიანად უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა ხელშემწყობი, ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ვითარება. დედაქალაქის პარტორგანიზაციამ, ისევე როგორც მთელმა საქართველოს კომპარტიამ, მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის საყურადღებო, ხაზს ვუსვამ, ძალზე საყურადღებო გამოცდილება შეიძინა. მიგნებულია მუშაობის ახალი, ორიგინალური, არაშაბლონური, არასტანდარტული ფორმები და მეთოდები. მიღწეულია რეალური, მნიშვნელოვანი შედეგები. ამ გამოცდილებიდან ბევრი რამ იმის ღირსია, რომ შეისწავლონ და განაზოგადონ ყველა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში. ამავე დროს ჩვენ, ამხანაგებო, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღმზრდელობითი პროცესი უწყვეტი, მუდმივი პროცესია. იზრდება ახალგაზრდობა, ერთი თაობა მეორეს ცვლის და თითოეული მათგანი უნდა ჩამოვაყალიბოთ იდეურად, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გამოვუმუშავოთ მყარი მსოფლმხედველური, სწორედ რომ მსოფლმხედველური პოზიციები, ურყევი კომუნისტური მრწამსი.

ადამიანს ქალაქში შექმნილი უნდა ჰქონდეს ნაყოფიერი შრომისა და მშვიდი დასვენების ყველა პირობა. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამისათვის ბევრი რამ გააკეთეს საქალაქო კომიტეტმა, მთელმა საქალაქო პარტორგანიზაციამ, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. შემცირდა დანაშაულობათა რიცხვი, მათ შორის მძიმე დანაშაულობებისა, შემცირდა სამართალდარღვევათა რიცხვი არასრულწლოვანთა შორის. კარგად, დამაჯერებლად ილაპარაკეს ყველა ამ საკითხზე ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. **დ. ვ. ხარალიძემ,** სხვა ამხანაგებმა. შემობრუნება, გაუმჯობესება შეიმჩნევა. მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით, ძალიან გვაფიქრებს, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც განაცხადეს, ქუჩაში საღამოს საათებში გამოსვლა საშიშიაო.

სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში არ არის მეორეხარისხოვანი საკითხები. ეს კომპლექსური პრობლემაა და იგი კომპლექსურად უნდა წყდებოდეს. ამ მიზნით პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ ყველა მაკონტროლებელი ორგანოს ღონისძიებათა კოორდინაცია სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის პროფილაქტიკისათვის, უშრომელი შემოსავლის ყველა წყაროს გამოვლენისათვის მუშაობაში, იმთავითვე აღკვეთონ საქმოსანთა და კომბინატორთა დანაშაულებრივი მოქმედება.

არადა, ყველა ორგანიზაციაში, სადაც გამოვლენილია დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტები — ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ობიექტებზე, უმაღლეს სკოლაში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში — ყველგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფები და სხვადასხვაგვარი კომისიები. შემოწმებისას კი აღმოჩნდა, რომ, როგორც გუშინ თქვეს ამხანაგებმა, მთელ რიგ შემთხვევებში ისინი ფორმალურად ყოფილა შექმნილი.

ყველაზე დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ქურდებს, მძარცველებს, ხულიგნებს, მუქთახორებს, სპეკულანტებს, ავტომობილის გამტაცებლებს, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა ანტიპოდს. ჩვენთან არ წარმოებს სათანადო ბრძოლა ნარკომანიასთან, რომელიც არათუ ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას, სულიერ გადაგვარებასაც კი იწვევს, ამაში ჩვენ ყველანი დაგვარწმუნა მეტად მწარე ფაქტმა, რომლისგანაც უაღრესად სერიოზული, მე ვიტყოდი, პოლიტიკური დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. აქ დიდი შეცდომა დაუშვეს პარტიულმა, საბჭოთა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა. საჭიროა მიზანდასახული კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს ნარკომანიასთან ბრძოლის ყველა ასპექტს — სამართლებრივს, სამედიცინო, აღმზრდელობითს, პროპაგანდისტულს. აქაც გვაკლია კონკრეტულობა და თანმიმდევრულობა. ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის ცალკეულ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა შემოვფარგლოთ მხოლოდ იმის განმარტებით, რომ ეს დიდი სოციალური ბოროტებაა. ეს უბედურება უნდა ავარიდოთ კონკრეტულ პიროვნებებს, კონკრეტულ ოჯახებს. რეალურ შედეგებს აქ მხოლოდ პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, განათლების, უმაღლესი განათლების ორგანოების, სკოლების დირექტორების, უმაღლესი სასწავლებლების რექტორების ერთობლივი მეცადინეობით მივაღწევთ. მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და ყოველი ღონე იხმაროს ამ საშინელი სენის დასაძლევად და აღსაკვეთად.

თეზისმა — **სანიმუშო კომუნისტურ ქალაქს — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი** — სულ უფრო რეალური შინაარსი უნდა შეიძინოს.

## დაჯილდოება

### სტრიქონები ბრძანებებიდან

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებათა გახსნისას ოპერატიული მუშაობის უნარიანად ორგანიზებისათვის, გამოჩენილი სიმამაცისა და მოხერხებულობისათვის საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს **საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა

**გუშარაშვილი ავთანდილ ლევანის ძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი, გარდაბნის შს რაიგანყოფილების უფროსი

ძებნილი დამნაშავის დადგენისა და დაკავებისას გამოჩენილი ოპერატიულობისა და მოხერხებულობისათვის საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს **საპატიო სიგელით** დაჯილდოვდა

**ჯიაძე თენგიზ ერმილეს ძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი, ქ. თბილისის ლენინის შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი.

## НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГРУЗИНСКОЙ ССР

*** Кадровый вопрос.**
*** О результатах работы МВД ГССР по выполнению постановления вышестоящих органов о направлении на работу в органы внутренних дел коммунистов, комсомольцев, передовиков производства.**
*** Об итогах соцсоревнования коллективов вневедомственной охраны при горрайорганах внутренних дел республики за 1982—83 г.г.**

Капитан милиции Двалишвили Теймураз Яшевич освобожден от должности начальника отдела УВО МВД ГССР в связи с назначением на должность начальника ОВО УВД Кутаисского горисполкома.

Майор милиции Ткебучава Элварди Амрозович освобожден от должности начальника отдела внутренних дел исполкома Очамчирского районного совета народных депутатов.

На коллегии были рассмотрены результаты работы МВД ГССР по выполнению постановления вышестоящих органов о направлении на работу в органы внутренних дел коммунистов, комсомольцев, передовиков производства.

Во исполнение требований постановления об укреплении органов внутренних дел сотрудниками из числа коммунистов, комсомольцев, передовиков производства Министерством внутренних дел ГССР была проделана определенная работа.

Было отмечено, что принятые дополнительные меры позволили сделать деятельность более целеустремленной и оперативной.

На коллегии принято совместное решение Коллегии МВД ГССР и РК Профсоюза работников госучреждений «Об итогах соцсоревнования коллективов вневедомственной охраны при ГРОВД республики за 1982—83 г.г.»

## МИР — ПЛАНЕТЕ ЗЕМЛЯ

**Сотрудники органов внутренних дел республики, как и весь советский народ, горячо одобряют ответы Ю. В. Андропова на вопросы газеты «Правда».**

С большим вниманием ознакомились члены нашего коллектива с ответами Ю. В. Андропова на вопросы газеты «Правда». В них убедительно разоблачается лицемерие нынешнего руководства США. Ратуя на словах за мир, оно на деле пытается завоевать и превратить в свои военные базы все, что только возможно, — от маленькой беззащитной Гренады до космоса.

Мы за разрядку напряженности, за ликвидацию ядерной угрозы. Но только деловой разговор на равных условиях может дать положительный результат. И американским политиканам не надо вести разговор с нашим государством с позиции силы.

**Ш. КЕПНАДЗЕ,**
**сержант милиции Ахалцихского РОВД.**

## ჩვენ მშვიდობა გვინდა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის პასუხს გაზეთ „პრავდის" კითხვებზე მხურვალედ ეხმაურებიან, იწონებენ და მხარს უჭერენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები.**

## ნათელი მომავლისათვის

**ყველაზე ძვირფასი რაც ადამიანს ესაჭიროება — ეს არის მშვიდობა, იმის უფლება, რომ იცხოვრონ, იშრომონ და აღზარდონ შვილები. საბჭოთა ადამიანებს ძვირად დაუჯდათ დღევანდელი მშვიდობიანი შრომა და ამიტომ ჩვენ დიდი კმაყოფილებითა და მოწონებით აღვიქვით გაზეთ „პრავდის" კითხვებზე ამხ. ი. ვ. ანდროპოვის პასუხი, სადაც მთელი სიცხადითა და სიზუსტით არის დადასტურებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე, გულდაჯერებული, პრინციპული კურსი. საყოველთაო მხარდაჭერასა და მხურვალე მოწონებას იმსახურებს ჩვენი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა. სავსებით სწორად ამბობს ამხანაგი ანდროპოვი, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა დარწმუნებულია პრობლემების სერიოზული განხილვის შესაძლებლობებში, რომელთა გადაწყვეტა გააჯანსაღებს მსოფლიოში ვითარებას და გააუმჯობესებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას.**

**ს. თვაური,**
**მილიციის კაპიტანი, საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ინსპექტორი.**

# ПОВЫШАТЬ ОРГАНИЗОВАННОСТЬ, ДЕЛОВИТОСТЬ, ДИСЦИПЛИНУ

Претворение в жизнь решений XXVI съезда партии, майского, ноябрьского (1982 г) и июньского (1983 г.) Пленумов ЦК КПСС неразрывно связано с улучшением работы партийных, советских и хозяйственных органов, ростом ответственности кадров, укреплением организованности плановой и трудовой дисциплины.

Непосредственное участие в решении этих больших задач принимают и органы пожарной охраны. Повышение культуры производства в отраслях народного хозяйства создает благоприятную обстановку и для повышения пожарной безопасности. Борьба с бесхозяйственностью и нарушениями трудовой дисциплины — это вместе с тем и борьба с игнорированием мер пожарной безопасности, за укрепление противопожарной защиты промышленных и сельскохозяйственных предприятий, учреждений и организаций. Вот почему представители наших служб, и в первую очередь органов государственного пожарного надзора и подразделений ВПО на важнейших предприятиях, опираясь на помощь и поддержку партийных и советских органов, обязаны повышать требовательность к руководителям объектов народного хозяйства за обеспечение своевременного и качественного выполнения инженерно-технических противопожарных мероприятий.

В целом по стране в истекшем году не допущено увеличения количества пожаров и материальных потерь от них в ведущих отраслях промышленности, на объектах, связанных с выполнением Энергетической и Продовольственной программ, в зданиях общественного назначения, местах хранения материальных ценностей.

Выступая на июньском (1983 г.) Пленуме ЦК КПСС, Юрий Владимирович Андропов с особой силой подчеркнул, насколько важно сейчас добиться, чтобы слово не расходилось с делом, а суть дела не подменялась формой. В материалах Пленума показаны конкретные пути улучшения стиля и методов руководства, приведения их в соответствие с требованиями сегодняшнего дня. Чтобы оказаться на высоте этих требований, руководители управлений (отделов) пожарной охраны должны личным примером утверждать деловитость и принципиальность в каждом коллективе, обеспечивая образцовое выполнение служебного долга, высокую дисциплину и культуру в работе.

Основное внимание должно быть сосредоточено на повышении уровня работы районного звена пожарной охраны. Надо освободить отделения и инспекции госпожнадзора городов и районов, руководителей пожарных частей от излишней отчетности, от выполнения несвойственных функций, отвлекающих от непосредственной, конкретной работы на объектах народного хозяйства и в охраняемых районах. В ходе проверки работы городских и районных аппаратов и подразделений пожарной охраны следует не только вскрывать упущения и недостатки, но и оказывать необходимую практическую помощь по их устранению. Очень важно, чтобы руководители УПО, ОПО, аппаратов госпожнадзора и пожарных подразделений постоянно прививали подчиненным, всему личному составу пожарной охраны уверенность в возможности достижения лучших конечных результатов.

Интересы дела требуют, чтобы повсеместно было улучшено взаимодействие аппаратов и подразделений пожарной охраны органами следствия, БХСС, уголовного розыска и вневедомственной охраны в расследовании пожаров, установлении истинных причин и лиц, виновных в их возникновении, в максимально полном возмещении ущерба.

Выполняя решения XXVI съезда партии и последующих Пленумов ЦК КПСС, личный состав аппаратов и подразделений пожарной охраны и активисты добровольных пожарных организаций полны решимости сделать все от них зависящее для дальнейшего повышения уровня пожарной безопасности народного хозяйства и тем самым внести достойный вклад в выполнение народнохозяйственного плана одиннадцатой пятилетки.

Ф. ОБУХОВ,
начальник ГУПО МВД СССР,
генерал-лейтенант в/с.

## ПОЗДРАВЛЯЕМ

Более 4 лет работает начальником кафедры спецдисциплин на Тбилисском факультете Московской Высшей школы милиции МВД СССР доктор юридических наук, полковник милиции ТАГИР ТАГИРОВИЧ ТАГИРОВ.

Недавно решением Высшей аттестационной комиссии при Совете Министров СССР Т. ТАГИРОВУ было присуждено ученое звание профессора.

Редакция газеты «Боевой страж» поздравляет ученого с высоким званием и желает ему дальнейших успехов в его творческой деятельности.

## ასე სწავლობენ

## მოძრაობის უსაფრთხოებისათვის

## საზოგადოების მხარდაჭერით

მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა აღმოცენდა იმ დროიდან, როდესაც ადამიანმა შექმნა თვითმავალი. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და მეთოდების შემუშავება, სრულყოფა, რადგან საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები ათასობით ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, რომ არაფერი ვთქვათ შემთხვევით გამოწვეულ დიდ მატერიალურ ზარალზე.

...

თ. რომანიძე,
მილიციის ლეიტენანტი, ქობულეთის შს რაიგანყოფილების სახ. ავტოინსპექტორი.



### მეტი ყურადღება მოზარდებს

## „თუ ბუნებამც არ უშველა"

დანაშაული მძიმდება, როცა მას მოზარდი ჩადის.

შეწუხებული დედის განცხადება — „ჩემი შვილი ამას არ იზამდა" — უნდა ირწმუნო, რადგან დედა მაინც დედაა და არ უნდა დაიჯეროს, რომ მისი შვილი ვინმეს ბინაში შევა ფულის იოლად შოვნის მიზნით, რომ მისი შვილი, სასიკვდილოდ გაიმეტებს ადამიანს.

...

ნ. ჩაბრაძე

## მქსპერტიზამ გამოავლინა

...

ო. მუსერიძე.

## РАСХИТИТЕЛИ НАКАЗАНЫ

234 ящика с мандаринами общим весом 3.644 килограмма обнаружили сотрудники ОБХСС в автогараже жителя села Ахалшени Хелвачаурского района Мемеда Кахидзе, работающего бригадиром приемочного пункта Ахалшенского паковочного завода. Он, якобы, принял цитрусовые «на временное хранение» по просьбе заведующего приемочным пунктом Резо Горадзе. Расхитители намеревались сбыть цитрусовые на стороне. Хищение им удалось за счет махинации при сдаче государству плодов, собранных на приусадебных участках колхозников. Во время инвентаризации на приемочном пункте обнаружена недостача еще в 6.533 килограмма цитрусов.

Р. Горадзе и М. Кахидзе привлечены к уголовной ответственности.

(Грузинформ).

## ДНД

## Из истории народных дружин

В марте текущего года отмечается 25-летие добровольных народных дружин.

В нашей газете мы будем систематически публиковать материалы о работе ДНД, передовых дружинниках в деле охраны общественного порядка.

С первых же дней установления Советской власти на защиту завоеваний революции встали широкие массы трудящихся. Они добровольно создавали отряды самообороны, «самоохраны». В Петрограде — «Комиссии общественной помощи милиции», в Сибири — «Дружины содействия милиции», на Урале и в Москве — отряды и бригады дружинников — «Осодмил» и «Бригадмил».

Эти общественные формирования назывались по разному, но делали они одно, правое дело, защищали завоевания рабочего класса от посягательств различного рода внутренних и внешних врагов, борясь с уголовной преступностью, спекуляцией, саботажем, выявляли тайных вредителей, оказывали помощь в охране государственных границ.

По мере перерастания нашего государства в общенародное и совершенствования советской, социалистической демократии, инициатива масс более активно участвовать в борьбе с нарушениями социалистической законности, получила дальнейшее развитие: по примеру Ленинградских рабочих стали создаваться добровольные народные дружины по охране общественного порядка.

Сегодня в нашей республике создано около 7.000 добровольных народных дружин, в работе которых участвуют более 150.000 дружинников.

Это огромная сила, способная решать самые серьезные задачи по охране общественного порядка.

### ДЕЛО, КОТОРОМУ СЛУЖИШЬ

# НАШЕДШИЙ СЕБЯ

Путь в милицию у Романа Гвенцадзе был необычным. В школьные годы многих его одноклассников привлекала романтичная, загадочная профессия стража правопорядка. Роман же об этом не помышлял ни тогда, когда после окончания школы поступил в политехнический институт, ни после его окончания. Он собирался стать научным работником, а... стал сотрудником уголовного розыска.

За 10 лет он прошел путь от инспектора уголовного розыска УВД г. Тбилиси до начальника ОУР УВД Тбилгорисполкома.

### ПЕРВАЯ ОПЕРАЦИЯ.

В городе почти год действовала преступная группа А. Андгуладзе и К°, совершившая ряд преступлений. Четверо участников преступления были задержаны, а организатору банды, в прошлом судимому, удалось скрыться.

Через несколько дней было получено сообщение о том, что преступник должен появиться в районе улицы Леселидзе. Туда и направились Роман Гвенцадзе и инспектор уголовного розыска Нугзар Мгалоблишвили.

...Тот, кого они поджидали, показался из переулка метров за тридцать от них. Он шел медленно. То приостанавливался, провожая взглядом прохожих, то подолгу застывал у витрин магазинов.

— Приготовились, — шепнул Роман другу, — стрелять нельзя, нужно захватить неожиданно, чтобы он не успел применить оружие.

Они отошли в сторону и двинулись навстречу приближавшемуся человеку, стараясь не обращать на него внимания. Громко переговариваясь, вплотную подошли и посторонились, пропуская его между собой. Он не успел сделать очередного шага, как его руки оказались зажатыми с двух сторон. Мгновение... и из кармана задержанного извлекли автомат.

Прохожие не успели сообразить, что произошло у них на глазах, как оперативная машина скрылась из виду.

За блестящее проведение этой операции Роман Гвенцадзе получил свою первую награду — медаль «За отличную службу по охране правопорядка».

### СХВАТКА

Немного минуло времени после первой операции, когда старший лейтенант милиции Роман Гвенцадзе получил другое, не менее важное задание. И выполнять его ему пришлось уже самостоятельно.

...На квартире гражданина Ч. было совершено разбойное нападение с целью ограбления. В результате угрозы со стороны преступников хозяин дома скончался.

В УВД Тбилгорисполкома была создана оперативная группа, которую возглавил заместитель начальника УВД г. Тбилиси полковник милиции Д. Алания. Двое преступников были задержаны, а третий, некий П. Чланидзе, ранее судимый, скрылся. Через пару дней было установлено, что вещи, награбленные на квартире гражданина Ч., преступник сбывает в г. Пятигорске. Туда срочно и вылетел Роман Гвенцадзе.

Вскоре ему удалось установить, что преступник должен появиться в одном из домов на окраине города. Вот здесь и была устроена засада. Роман стоял за дверью. Точно в условленное время за дверью послышались шум остановившейся машины и осторожные шаги по лестнице. Подойдя к дверям, преступник на некоторое время замер и вдруг бросился вниз. Терять времени было нельзя. Роман распахнул дверь и побежал следом за ним. Выйдя на улицу, он увидел, как машина, в которой находились еще двое, помчалась по улице. Гвенцадзе тоже сел в машину и началась погоня, будто в детективном фильме.

Машина, где сидели преступники, петляла по улицам города из стороны в сторону, но оторваться от погони ей не удалось. Вскоре она прорвалась к шоссе и скрылась за городом.

На окраине города обе машины попали в «пробку». Роман выскочил из машины и погнался за преступниками, убегавшими в сторону пустыря. Одного из них удалось поймать, другой сбежал, а третий скрылся за невысоким, перекошенным забором и начал стрелять. Выстрел, другой, третий... Мгновение — все затихло. Гвенцадзе перепрыгнул через забор и увидел преступника... катавшегося по земле, рядом с ним валялся пистолет. Осмотрев его, Роман увидел, что вся обойма полностью была израсходована. Последнюю пулю он пустил в себя, но попал в живот и остался жив.

С помощью водителя такси ему удалось донести преступника до машины.

С операцией Гвенцадзе справился отлично.

За мужество и отвагу, проявленные при задержании опасного преступника, Роман Гвенцадзе был награжден орденом Красной Звезды.

...Спустя 20 дней, уже в г. Тбилиси, на факте кражи был задержан некий Угрехелидзе. Это был тот третий, которому в г. Пятигорске удалось сбежать.

### СЛУЖБА ПРОДОЛЖАЕТСЯ...

Около трех лет майор милиции Роман Леоевич Гвенцадзе работает начальником отдела уголовного розыска УВД Тбилгорисполкома.

Новая должность прибавила и новые заботы. Под его началом работает несколько десятков инспекторов уголовного розыска. Роман передает им свой опыт, учит их, как учили его когда-то полковники милиции Д. Микеладзе, Д. Алания, У. Чичинадзе, подполковник милиции М. Гомартели.

Несмотря на свою занятость, Роман не забывает о своем Леване и Нане, старается отдать детям свободные минуты, которые не так уж часто выпадают на его долю. Как любит Роман споры с сыном по вопросам радиотехники, рассказы дочери - общественницы о своих комсомольских делах... А интересную книгу приходится читать урывками по ночам. Но... унывать не в натуре Романа Гвенцадзе.

...Раздается телефонный звонок. Звонят из дежурной части. На территории Глданского массива злоумышленники угнали такси и ограбили таксиста. Роман с несколькими сотрудниками выезжает на место происшествия.

А. СААКАДЗЕ.



НА СНИМКЕ: дежурный по городу подполковник милиции А. Чачанидзе докладывает оперативную обстановку.

Фото А. Гоголадзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელ კვალზე

# ხულიგნობა აღიკვეთა

მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთში მცხოვრებმა, კომკავშირელმა, 23 წლის კოლმეურნემ იუზა ვალერიანის ძე დარჩიამ გასული წლის ზაფხულის ერთ საღამოს. სპირტიანი სასმელი მიიღო. ალკოჰოლმა მადა გაუღვიძა და მან გადაწყვიტა კვლავ მიძალებოდა სპირტიან სასმელს. ამ მიზნით ღამის 3 საათზე შევიდა სოფ. ბაილეთის ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში, მოქალაქე კ-ის ოთახში და სასმელი მოითხოვა. უარის მიღების შემდეგ დარჩიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კ-ას, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე ხასიათის დაზიანებით საავადმყოფოში იქნა მოთავსებული.

ხულიგანმა მიმალვა სცადა. შემთხვევის ადგილზე მახარაძის შს რაიგანყოფილებიდან დაუყოვნებლივ გამოცხადდა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ მილიციის კაპიტანი ფ. ჰანტურია, ლეიტენანტები ბ. არომიძე და ს. ელიაძე, უფროსი ლეიტენანტი ნ. სეფერთელაძე და რიგითი ბ. მახარაძე. ფაბრიკის თანამშრომლების და უშუალოდ მისი დირექტორის — გუბელიძის დახმარებით ხულიგანი მალე დააკავეს.

ვ. ინწკირველი,
ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტი.

შერლოკ ჰოლმსის კლუბი

# დამხრჩვალი ქალი

პოლიციის კომისარიატის ბიუროში გულამოვარდნილმა კარლ რენარმა მოირბინა. იგი სულს ძლივს ითქვამდა. გალუმპული ტანსაცმელი ჩამოიწურა და იატაკზე წყლის გუბე დააყენა, გაუგებარ ბუტბუტს მოჰყვა. მთლად ღონემიხდილი კედელს აეკრა. კარგა ხანს იყო ამ მდგომარეობაში, ხანამ რაიმეს თქმას მოახერხებდა.

— მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ ქალაქგარეთ, ტბაზე გვეციგურავა — როგორც იქნა დაიწყო მან — დაახლოებით 15 წუთი ვციგურაობდით. უცებ ცოლი, რომელმაც რამდენიმე ათეული მეტრით გამისწრო, ჩავარდა დიდ ნაპრალში, რომელსაც ჩვენ ტბაზე არ მოველოდით... იგი ყინულქვეშ მოექცა, იქ კი წყალი ძლიერ ღრმაა... მე ციგურები მოვიშორე და ნაპრალში ჩავხტი, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შევძელი.

გაყინულ წყალში ცახცახმა შემიპყრო, დღეს ხომ 20 გრადუსი ყინვაა და იძულებული გავხდი ამომეყვინთა. სამჯერ ჩავყვინთე წყალში, მაგრამ ამაოდ... საშველად ვუხმობდი ხალხს, ახლო-მახლო ძეხორციელი არავინ იყო... მივხვდი, რომ მარტო მე ვერას გავაწყობდი... გზაზე არც ერთი მანქანა არ შემხვედრია, ძლივს მოვაღწიე თქვენამდის... გემუდარებით დახმარება აღმოუჩინოთ ჩემს ცოლს. იმედი კი დაკარგული მაქვს, მაგრამ რაღაც მაინც ხომ უნდა ვიღონოთ.

— სად მოხდა ეს ამბავი? — იკითხა ინსპექტორმა ვერნერმა.

— ტბის შუაგულში, აქედან 6 კილომეტრზე, სანაოსნო სადგურის მახლობლად.

მაშველი ჯგუფი ერთ საათში დაბრუნდა, მათ თან მოიტანეს რენარის ციგურები, რომლებიც ნაპრალის მახლობლად ეპოვათ. ყინულქვეშ ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო.

ამის გაგონებაზე რენარი უგონოდ დაეცა.

— მე ვფიქრობ რომ, როცა მას ცნობიერება დაუბრუნდება, ამ ისტორიის უფრო სარწმუნო ვერსიას გადაგვიშლის — თქვა ინსპექტორმა ვერნერმა.

რატომ ამტკიცებდა ინსპექტორი, რომ რენარის ჩვენება ყალბი იყო?

**იმ მკითხველთა გვარები, რომლებიც სწორ პასუხს გამოგზავნიან, გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.**

სპორტი

# „ის ურჩევნია მამულსა"...



ახლახან გორის საჰიდაო დარბაზში ნორჩ ძიუდოისტთა შეჯიბრება გაიმართა. ტატამზე 165 თბილისელი და გორელი სპორტსმენი გამოვიდა. ასპარეზობამ მრავალი გულშემატკივარი მიიზიდა, რომელთა შორის ყველაზე უფრო დაინტერესებული პიროვნება ალბათ შოთა ჩოჩიშვილი იყო. საბჭოთა ძიუდოისტებს შორის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი (მიუნხენი, 1972 წელი) სპეციალისტის თვალით აკვირდებოდა თითოეული ნორჩი ძიუდოისტის გამოსვლას და მათ შორის მომავალ ჩემპიონებს ამჩნევდა. აკი თვით შოთას ბიჭებს — რეზოს და რამაზს ძიუდოს სიყვარული „შთამომავლობით" გამოჰყოლიათ. სწავლასა და სპორტში მოწინავეებს მამის თანადგომაც აგულიანებთ. გორის შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის კაპიტანი შ. ჩოჩიშვილი როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, მაშინვე საჰიდაო დარბაზს მიაშურებს და ძიუდოს საიდუმლოებებს უხსნის მოწადინებულ ძმებს, რომლებმაც სპორტული გზა გამარჯვებებით დაიწყეს. აღნიშნულ ტურნირზე სწორედ ძმები შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში. ამჯერად რეზომ გაიმარჯვა, მაგრამ ყველა კმაყოფილი იყო — გამარჯვებულიც და დამარცხებულიც, სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც, განსაკუთრებით კი შოთა სარობდა, იგი ხომ მამულს ორ ვაჟკაცს უზრდის. ჩვენში უთქვამთ, „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა", ვინძლო არც რეზო და რამაზ ჩოჩიშვილებმა შეირცხვინონ თავი და მამასავით ოლიმპოს მწვერვალიც დალაშქრონ.

ა. გოგოლაძე

სურათებზე: ვარჯიშის დროს; რეზო და რამაზ ჩოჩიშვილები.

ავტორის ფოტოები.



СПОРТ

# Награды клубу — победителю

На днях во Дворце шахмат состоялось закрытие I городской спартакиады клубов именитых спортсменов.

В спартакиаде принимали участие спортсмены из 25 клубов. Спортсмены состязались по следующим видам спорта: плаванию, подтягиванию, перетягиванию каната, легкой атлетике, минифутболу.

Победителями I городской спартакиады стали спортсмены клуба им. капитана милиции Т. Лакия — сотрудника Ленинского РОВД г. Тбилиси, мастера спорта по стрельбе из боевого оружия, чемпиона спартакиады соцстран, многократного чемпиона Союза и республики, — который создан при ЖЭКе № 3, Ленинского района (начальник Г. Морадашвили).

Клубу-победителю вручили кубок, золотую медаль и диплом I степени.

Золотая медаль и Почетная грамота Тбилисского ГК ЛКСМ Грузии была вручена и Т. Лакия.

В заключение состоялся концерт.

К. САРКИСЯН.
наш внешт. корр.

## სასამართლო დარბაზიდან

# უკანასკნელი საღამო

1981 წლის 23 ივნისს ქ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზართან ომარ არაბულსა და მის ნათესავს ჯამბულ ომიაძეს ვინმე ჯემალ კოკოევი შეხვდა, ომარმა იგი ოჯახში მიიპატიჟა. საღამომდე სუფრას უსხდნენ, ბოლოს გასეირნებაც მოისურვეს.

მეტრო „ოქტომბერთან" შემთხვევით შეხვდნენ ნაცნობ გოგონებს, იყიდეს სასმელი და ისევ არაბულის სახლისაკენ გასწიეს.

ვახშმობა კვლავ გაგრძელდა. ღამის პირველ საათზე ერთმა გოგონამ გადაწყვიტა სახლში წასულიყო. გასაცილებლად სტუმარმა შეიწუხა თავი. სააკაძის ქუჩაზე მდებარე საშუალო სკოლასთან ჯ. კოკოევმა იგი სკოლის ეზოსაკენ წაიყვანა. ქალმა მას წინააღმდეგობა გაუწია, ამის საპასუხოდ კოკოევმა წააქცია იგი და ცემა დაუწყო. ყვირილზე მეორე გოგონამ მოირბინა და მეგობრის დახმარების მიზნით კოკოევს რაღაც ნივთით უმნიშვნელო ჭრილობა მიაყენა. ამისდა საპასუხოდ გამხეცებულმა კოკოევმა ერთი დარტყმით მიწაზე დასცა იგი და არაბულის სახლიდან წამოღებული დანა რამდენჯერმე ჩასცა. გოგონა ყვირილით იკლებდა იქაურობას და შველას ითხოვდა. იგი ამაოდ ცდილობდა მხეცადქცეული ადამიანის მოგერიებას. შემთხვევის ადგილზე მისულმა არაბულმა სულ ცოტა ხნით შეძლო გარეწარის შეკავება. მძიმედ დაჭრილი გოგონა წამოდგა და გაქცევა სცადა, მაგრამ კოკოევმა არ აკმარა თვრამეტი ჭრილობა და კვლავ დანით ხელში უკან დაედევნა, ქვა ესროლა, თავში მოარტყა და ძირს დავარდნილს უმოწყალოდ კიდევ სამჯერ ჩასცა დანა კისრის არეში.

მკვლელი არხეინად დაბრუნდა არაბულის ბინაში, დანა ონკანში ჩააგდო, სისხლი მოიბანა და მიიმალა...

ამ საზარელი მკვლელობის შემდეგ, მიმალვაში ყოფნის დროს, მან ახალი დანაშაული ჩაიდინა. 13 სექტემბერს კვლავ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი კოკოევი, ჯუმბერ მუზაშვილთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, თბილისის რკინიგზის საკვანძო ტერიტორიაზე შეხვდა სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს ა. უ-ს და ს. კ-ს, რომლებიც ვაზიანში მიემგზავრებოდნენ. კოკოევმა და მუზაშვილმა გზის სწავლების მოტივით ისინი შეიტყუეს სადგურის მშენებარე ტერიტორიაზე, შემდეგ კი დანის მუქარით ფული მოსთხოვეს. მოქალაქეებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ მუზაშვილმა არ დააყოვნა და ერთ-ერთს დანა დაარტყა მკერდის არეში. მან გონება დაკარგა, ხოლო კოკოევმა ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით მეორეს დააკარგვინა გრძნობა. ისარგებლეს რა დაზარალებულთა უმწეო მდგომარეობით, ისინი გაძარცვეს, ამოაცალეს 505 მანეთის ღირებულების პირადი ნივთები და ტანსაცმელი.

მუზაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ხოლო კოკოევმა კვლავ მოახერხა მიმალვა.

1982 წლის 27 იანვრის საღამოს, ჯ. კოკოევი უკვე ვინმე ვ. კიზილოვთან ერთად დანებით შეიარაღებულნი, ნიღბაფარებულნი, თავს დაესხნენ 90 წლის ს. მ-შვილს. ისინი ფანჯრიდან გადავიდნენ, გააღვიძეს სახლის პატრონი და მოსთხოვეს ფული. მოხუცმა ფულის მიცემაზე უარი განაცხადა. გარეწრებმა მას თოკით შეუკრეს ხელ-ფეხი, და... წამების შემდეგ მითითებული ადგილიდან აიღეს 1910 მანეთი, წასვლამდე კი აუღელვებლად ივახშმეს.

28 იანვარს კვლავ ანალოგიური გზით, დანით შეიარაღებულმა და ნიღბაფარებულმა ჯ. კოკოევმა შემოამტვრია ე. ა-ძის სახლის ფანჯარა და ისე შეიჭრა ბინაში. შეშინებულმა ოჯახის წევრებმა ყვირილი ატეხეს. დიასახლისმა კოკოევისთვის სკამის დარტყმა მოახერხა, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გაქცეულიყო. 1982 წლის 25 ივნისს ჯ. კოკოევი დააკავეს.

სასამართლო პროცესზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ა. ალადაშვილი, ფარდა აეხადა ჯ. კოკოევის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულს.

დამნაშავე წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე, მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა.

ე. ფერიაშვილი.

# ПО ТУ СТОРОНУ

## ПОЛИЦЕЙСКИЙ БРОНЕВИК

В Англии готовится к массовому производству новая машина для разгона демонстраций. Вскоре британские «бобби» получат это сверхсовременное и эффективное оружие, которое заменит целое военизированное подразделение. Модернизованный броневик, предназначенный для полицейских, вернее для демонстрантов, оснащен и мощнейшими наступательными оборонительными средствами. 16 гранатометов, ослепляющие прожекторы, водомет, струя которого опрокидывает автомобиль, — вот с таким «джентльменским набором» английские полицейские будут скоро выезжать на броневике навстречу мирным манифестантам. Правда, в новой машине предусмотрены и «гуманные» средства борьбы с демонстрантами: водомет может быть использован и для распыления краски на людей для их последующего обнаружения.

## В ПОГОНЕ ЗА ШТРАФОМ

**Почти 40 километров патрульная машина западногерманской дорожной полиции незаметно следовала за автомобилем, скрупулезно фиксируя совершенные водителем нарушения. Когда их набралось 18, блюстители порядка остановили машину, составили внушительный протокол и передали дело в суд низшей инстанции, который приговорил автомобилиста к солидному штрафу в 920 марок. Но вышестоящий земельный суд смягчил приговор, исключив из обвинения последние 12 нарушений. Мотивировка вполне логичная: полиция обязана не только преследовать за правонарушения, но и предотвращать их.**

# НОВИНКИ ЮРИДИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

**«Основы законодательства Союза ССР и Союзных республик»** — 100.000 экз., 1 р. 50 к.

**«Охрана и сбережение социалистической собственности»** — 50.000 экз., 75 к.

**«Проблемы государства и права в современной идеологической борьбе»** — 7.000 экз., 1 р. 80 к.

**«Профилактика пьянства и алкоголизма»** — 60.000 экз., 30 к.

**«История политических и правовых учений»** — Под ред. В. С. Нерсесянца 40.000 экз., 1 р. 90 к.

**«Советское гражданское право»** — Под ред. О. Н. Садикова — 40.000 экз., (доп. тираж), 1 р.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: 380025 გოგოლის ქ. № 23 ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. ლენინის ქ. 14. [illegible] 99-1-41-24.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, [illegible]. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, [illegible] 29.
უე 02864